

შემოსული კითხვები და პასუხები / Submitted Questions and Answers

FSM-2025-02-05

1. Q: რა პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია დაშვების წერტილის ტექნიკურ მახასიათებლებში მითითებულ router mode-ს? // What is the practical purpose of the router mode specified in the technical specifications of the access point?

A: დაშვების წერტილს უნდა გააჩნდეს მუშაობის ორივე რეჟიმი ინტერნეტ პროვაიდერის ქსელის შესაძლებლობების გამოსაყენებლად. // The access point must have both operating modes to utilize the capabilities of the Internet provider's network.

2. Q: *“Temperature range: -30°C ~ 65°C, Humidity (non-condensing): 90% or less”* –იქიდან გამომდინარე, რომ რაც უფრო მედეგია მოწყობილობები ტენიანობის მიმართ (მაგ. 95%), მით უკეთესია პროდუქტი, ხომ არ არის აქ დაშვებული მექანიკური შეცდომა? // Since the more resistant the devices are to humidity (e.g. 95%), the better the product, is there a mechanical error here?

A: დიახ, დაშვებულია მექანიკური შეცდომა და უნდა ეწეროს „90% or more“. // Yes, there is a mechanical error, and it should state “90% or more”.

3. Q: Uninterruptable power source-ის input power ranges-თან დაკავშირებული შეკითხვა: მოთხოვნილი არის შემავალი სამუშაო ძაბვის და სიხშირის ფართო დიაპაზონები (165-290 VAC, 40Hz~70Hz). ინტერაქტიულ უწყვეტი კვების წყაროს შეიძლება გააჩნდეს AVR, რომელიც საფეხურებრივად აუწევს ან დაუწევს ძაბვას, შესაბამისად, გამომავალ ძაბვას მიუახლოვებს მოწყობილობებისთვის (როუტერი, დაშვების წერტილი) საჭირო სამუშაო ძაბვას 220/230 ვ, თუმცა ვერაფერს უზამს სიხშირის დიაპაზონს, აქედან გამომდინარე ფაქტიურად შეუძლებელი არის ნახოთ ისეთი როუტერი ან დაშვების წერტილი რომელიც იმუშავებს 40Hz ან 70Hz, როგორც წესი ასეთი მოწყობილობები მუშაობენ 50 Hz \pm 5 Hz. // Question related to input power ranges of uninterruptable power source: Wide input operating voltage and frequency ranges are required (165-290 VAC, 40Hz~70Hz). An interactive uninterruptible power supply can have an AVR, which will step by step increase or decrease the voltage, respectively, bringing the output voltage closer to the operating voltage required by the devices (router, access point) of 220/230 V, but it does not do anything about the frequency range, therefore it is practically impossible to find a router or access point that will operate at 40Hz or 70Hz, as a rule, such devices operate at 50 Hz \pm 5 Hz.

A: ეს არის მინიმალური და მაქსიმალური მონაცემები და შემოთავაზებულ ტექნიკას უნდა ჰქონდეს ამ ფარგლებში მუშაობის შესაძლებლობა. თქვენ მიერ შემოთავაზებული ზღვრები ჯდება სპეციფიკაციებში მოთხოვნილ ზღვრებში. // These are minimum and maximum data, and the proposed equipment must be able to operate within these limits. The limits you have proposed fit within the limits requested in the specifications.

4. „მიწოდების ზუსტი პირობები და აღჭურვილობა, რომელიც უნდა იყოს მიწოდებული დროის კონკრეტულ მონაკვეთზე, დამატებით შეთანხმდება მხარეების მიერ, თუმცა

განმცხადებელმა უნდა აჩვენოს მზადყოფნა შეისყიდოს და ხელმისაწვდომი გახადოს ყველა მოთხოვნილი აღჭურვილობა ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა. // "The precise delivery terms and equipment to be delivered for the concrete portion of time shall be agreed additionally by the parties. However, the applicant must demonstrate readiness to procure and make available all the requested equipment no later than 60 calendar days upon the signature of the contract."

Q: პროდუქციის მოცულობის გათვალისწინებით, შემოთავაზებული მიწოდების გრაფიკი საკმაოდ მჭიდროდ გამოიყურება. იქნება თუ არა შესაძლებელი ვადების კორექტირება და მიწოდების უფრო ხანგრძლივი პერიოდის დაშვება? ბოჭკოვანი კაბელების და გარე კაბინეტების მიწოდების სავარაუდო დრო არის არანაკლებ 120-140 დღე (30-45 დღე წარმოება და 80-90 დღე მიწოდება საზღვაო ტვირთის საშუალებით). მიწოდების 120 დღე იქნებოდა ყველაზე გონივრული ვადა ჩვენი კომპანიისთვის და ტენდერის ყველა სხვა პოტენციური მონაწილისთვის. // Considering the volume of products involved, the proposed delivery schedule appears to be quite tight. Would it be possible to adjust the timeline and allow for a longer delivery period? The estimated delivery time for the Fiber cables and Outdoor Cabinets is no less than 120-140 days (30-45 days manufacturing and 80-90 days delivery via sea freight). 120 days for delivery would be the most reasonable period for our company and all other potential tender participants.

A: როგორც არის აღნიშნული ტექნიკურ დავალებაში, მიწოდების დრო დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ერთად და განისაზღვრება მოსაწოდებელი ტექნიკის რაოდენობიდან გამომდინარე. ტექნიკურ დავალებაში მითითებული ვადის მაქსიმალური ზღვრის შეცვლა დასაშვებია და ამ ეტაპზე 60-ის ნაცვლად შეადგენს არაუმეტეს 130 დღეს. // As stated in the Terms of Reference, the delivery time will be specified together with the winning company and will be determined based on the quantity of equipment to be supplied. The maximum deadline specified in the technical task is allowed to be changed and at this stage, instead of 60, it will be no more than 130 days.

5. Q: თუ ჩვენი კომპანია ოპერირებს როგორც დისტრიბუტორი მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე, გვაქვს თუ არა უფლება მივიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში? // If our company operates as a distributor only on the local market, are we eligible to participate in this tender?

A: ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ავტორიზებულ წარმომადგენლებს/დისტრიბუტორებს აქვთ უფლება მიიღონ ტენდერში მონაწილეობა, თუ არიან მწარმოებლის ადგილობრივი წარმომადგენლები არანაკლებ 2 წლის განმავლობაში, თვითონ მწარმოებელი კი საერთაშორისო ბაზარზე არანაკლებ 5 წლის განმავლობაში. // Authorized representatives/distributors on the local market are eligible to participate in the tender if they have been local representatives of the manufacturer for at least 2 years, and the manufacturer itself has been on the international market for at least 5 years.

6. Q: დამატებით მოთხოვნილი აღჭურვილობის (ADSS cable და GPON technology) აქსესუარები უკვე განსაზღვრულია თუ მათი დაზუსტება შესყიდვის შემთხვევაში

იქნება შესაძლებელი? // Are the additionally requested equipment (ADSS cable and GPON technology) accessories already defined, or will it be possible to specify them in case of purchase?

A: საუბარი არის ყველა აუცილებელ აქსესუარზე, რომელთა გარეშეც ვერ მოხდება ინსტალაცია. // This includes all mandatory accessories without which the installation cannot be completed.

7. Q: შეიძლება თუ არა სერტიფიკატის წარდგენის ნაცვლად, წარვადგინოთ მწარმოებლის ვებგვერდის ბმული, სადაც ჩვენი კომპანია არის მითითებული, როგორც დისტრიბუტორი? // Instead of submitting a certificate, can we submit a link to the manufacturer's website where our company is listed as a distributor?

A: დიახ, შესაძლებელია. // Yes, it is possible.

8. Q: რა ტექნიკურ სპეციფიკაციებს უნდა აკმაყოფილებდეს დამატებით მოთხოვნილი ADSS cable და GPON technology? // What technical specifications should the additionally requested ADSS cable and GPON technology satisfy?

A: ADSS cable (24 fibres, 3KN, maximum 50 meters) // GPON technology (GPON OLT, 4 GPON ports, per port splitting: min 1:64 max: 1:128, at least 2 GE/2.5GE SFP+ ports, from 1 to 10 Gbps)

9. Q: შესაძლებელია თუ არა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე მომსახურების 50%-ის წინასწარ გადახდა, ხოლო დარჩენილი 50%-ის აღჭურვილობის სრულად მიწოდების, მისი სამუშაო ფუნქციების შემოწმებისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა? // Is it possible to pay 50% of the service fee in advance immediately after signing the contract, and the remaining 50% after the complete delivery of the equipment, verification of its working functions, and signing of the delivery and acceptance act between the parties, no later than 5 (five) business days?

A: ეს წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობების საკითხს და დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებულ მომწოდებელთან. ამ ეტაპზე, მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემის უფლება არ გვაქვს. // This is a contractual matter and will be clarified with the winning bidder. At this stage, we are not authorized to answer this question.

10. დამატებით მოთხოვნილ ADSS კაბელთან (24 fibres, 3KN, maximum 50 meters) დაკავშირებით დაისვა შემდეგი შეკითხვა: // The following question was asked regarding the additionally requested ADSS cable (24 fibres, 3KN, maximum 50 meters):

Q: შეგვიძლია შემოგთავაზოთ 1.5kn, 2kn, 2.5kn დაჭიმვის ძალის მქონე კაბელი.
მისაღები იქნება თუ არა ამ მონაცემების კაბელის შემოთავაზება? // We can offer you a
cable with a tensile force of 1.5kn, 2kn, 2.5kn. Would it be acceptable to offer a cable with
these specifications?

A: პროექტი განიხილავს 3KN დაჭიმვის ძალის მქონე კაბელის შესყიდვას, თუმცა
ასევე მისაღები იქნება 2.5KN დაჭიმვის ძალის მქონე კაბელიც, შესაბამისად,
შესაძლებლობის შემთხვევაში, ასევე წარმოადგინეთ ამ პარამეტრის ფასიც. // The
project is considering the purchase of a cable with a tensile force of 3KN, however, a cable
with a tensile force of 2.5KN would also be acceptable, therefore, if possible, please also
provide the price for this parameter.